აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში

01.09.1014-01.09.2015

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის ანგარიშში ასახულია 1014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის სექტემბრამდე კომისიის მიერ უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომისიის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომისიის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების სტატისტიკა, წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

კომისიის თავმჯდომარე	გიორგი მასალკინი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	აკაკი ძნელაძე
კომისიის წევრები:	თემურ კახიძე - (18.06.2015 - მდე)
	სვეტლანა კუდბა - (18.06.2015 - მდე)
	მერაბ აბაშიძე - (18.06.2015- მდე)
	მურმან ბერიძე - (18.06.2015 - დან)
	ასმათ დიასამიძე - (18.06.2015 - დან)
	თემურ ბოლქვაძე - (18.06.2015 - დან)
	სულხან ღლონტი - (18.06.2015 - დან

კომისიის აპარატი

აპარატის უფროსი	ნაირა აბულაძე
თავმჯდომარის თანაშემწე	ზაზა ჩავლეიშვილი
მთავარი სპეციალისტი	ნატო აბუსელიძე
წამყვანი სპეციალისტი	ნონა ტაკიძე
უფროსი სპეციალისტი	ნინო ანთიძე

კომისიის სხდომების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილული კორესპონდენციების სტატისტიკა

- კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში მოწვეული იქნა 11 სხდომა, განხილული იქნა 43 საკითხი და შემუშავდა 41 დასკვნა.

კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში:

- **მიღებული იქნა 203 მოქალაქე;**
- **კომისიაში შემოვიდა და დამუშავდა 325 კორესპონდენცია;**
- **კომისიიდან გაიგზავნა 160 კორესპონდენცია.**

კომისიის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- „აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის" კომისიის წევრი;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობისა და შემდგომი განვითარების მიმართულებების დასახვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- „თავისუფალი პროექტების" შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი;
- „სტუდენტთა დახმარების" ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
- პროექტების - „სწავლა საზღვარგარეთ", „სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა", „კონფერენციის ორგანიზება" ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

კომისიის თავმჯდომარე ასევე არის სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო შერეული სამთავრობო კომისიის წევრი.

- კომისიის მიერ მომზადებული და ინიცირებული იქნა კანონპროექტი - ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომისიის თავმჯდომარე და წევრები:

სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

2.10.2014

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მონაწილეობდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ,,რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ფარგლებში ICOMOS საქართველოს მიერ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის წარდგენასა და განხილვაში. შეხვედრის მიზანი იყო კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი მიმართულებების გაცნობა რეგიონის პროფესიონალთა, სამთავრობო სტრუქტურებისა და არასათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

13. 10.2014

კომისიის თავმჯდომარე გიორგი მასალკინი მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა "რესპუბლიკური ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში - "ევროინტეგრაცია და ნაციონალური იდენტობა".

26-28 . 12. 2014

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი ესწრებოდა და მოხსენებით გამოვიდა სასტუმრო ,,ოაზისში“ გამართულ პირველ რეგიონალურ კონფერენციაზე - ,,სწავლების ახალი ტექნოლოგიები და მიდგომები“.

6.02.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მონაწილეობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ, სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმასთან გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში.

13.02.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი თბილისსა და ახალციხეში - ესწრებოდა, ნიდერლანდების ინსტიტუტის მიერ, მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით მომზადებული პროექტის - ,,ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში" ფარგლებში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებს.
შეხვედრის მიზანი იყო მოსამზადებელი შეხვედრების საფუძველზე დაგროვილი ინფორმაციის შეჯამება/დისკუსია და იმ საკითხების შერჩევა რომელზეც ნიმდის დაკვეთით, მაღალი დონის ექსპერტული ნაშრომები და პოლიტიკური ნარკვევები შეიქმნება.

2-7.03.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი იმყოფებოდა დანიის ქალაქ ოლბორგში, სადაც ჩატარდა ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ჩვენი რეგიონი არის ამ ორგანიზაციის წევრი), მეორე და მესამე კომიტეტების (ასამბლეაში სულ სამი კომიტეტია) ერთობლივი პლენარული შეხვედრა - ,,რეგიონალური განვითარების სტრატეგიები მოქალაქეებისათვის და მოქალაქეებთან ერთად". შეხვედრაში მონაწილეობდა 35 ქვეყნის დელეგაცია. შეხვედრა მოიცავდა სემინარებს, ვორკშოპებს, სასწავლო ვიზიტებს: ,,კულტურა და ჯამრთელობა", ,,სკოლის მიტოვების მიზეზების პრევენცია", ,,მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება", ,,ინოვაციები ახალგაზრდულ პოლიტიკაში", ,,ინოვაციები სოციალურ პოლიტიკაში."
შეხვედრის დროს ევროპის რეგიონთა ასამბლეის ხელმძღვანელობისაგან მიიღეს კომიტეტების ერთერთი პლენარული სხდომის ბათუმში ჩატარების (სავარაუდოთ 2015 წლის დეკემბერში) შეთავაზება.
ევროპის რეგიონთა ასამბლეა არის ევროპის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1983 წელს შეიქმნა და აერთიანებს ორმოცამდე ქვეყნის 300-მდე რეგიონს.

24-27.03.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შექმნილ დელეგაციასთან ერთად, იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესზე, ევროსაბჭოს ქვეყნების რეგიონებთან ახალი კონტაქტების დამყარებისა და უკვე არსებული ურთიერთობების გაღრმავებისათვის კონგრესის 2015 წლის სესიის ფარგლებში აჭარის რეგიონის პრეზენტაციის, აჭარის კულტურის, ფოლკლორისა და ტურისტული შესაძლებლობების წარდგენის მიზნით.

2.04.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინმა, ომბუდსმენის ოფისში, ახალგაზრდათა აუდიტორიის წინაშე წაიკითხა თავისუფალი ლექცია თემაზე: ,,საქართველო, მოდერნიზაცია, თანამედროვე გამოწვევები".

4.04.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინმა ომბუდსმენის ოფისში ახალგაზრდათა აუდიტორიის წინაშე წაიკითხა თავისუფალი ლექცია თემაზე: ,,კინოხელოვნება როგორც პროტესტის ფორმა".

7 .05.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მონაწილეობდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2016-2019 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვაში.

2-7.06.2015

კომისიის თავმფდომარე გ. მასალკინი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძნელაძე იმყოფებოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ ოსტრავაში, ევროპული ფესტივალების ასოციაციის გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ, რიგით 64-ე შეხვედრასა და საერთაშორისო ფესტივალზე ,,lanecek May-2015". შეხვედრისას ფესტივალის ლიდერებს მიაწოდეს ინფორმაცია რეგიონში არსებული კულტურული ცხოვრების თაობაზე. ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი ევროპის ფესტივალების ასოციაციაში გაწევრიანდა, რომელიც მსოფლიოს 40 ქვეყნიდან 100 ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ ფესტივალს აერთიანებს.

18 – 24.07.2015

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი იმყოფემოდა საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში, სადაც გაიმართა შეხვედრები შემდეგ თემებზე: ქალაქის მმართველობა და უნივერსიტეტი, ურბანული პრობლემატიკა და იურიდიული საკითხები, კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკის მართვა, ძეგლთა ინვენტარიზაცია და რესტავრაცია, კერძო ბიზნესი და ძეგლების რესტავრაცია. გაიმართება შეხვედრები ძეგლთა დაცვისა და ურბანული სამსახურის წარმომადგენლებთან, ქალაქის არქიტექტურის სამსახურთან, ქალაქ მონპელიეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არქიტექტურის სკოლასთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომისიის წევრი უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელდა რიგი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გიორგი მასალკინი